

განახლებულია: 30.09 2024

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება/Computer Science
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი/Master of Computer Science
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	დავით დევაძე, პროფესორი, ელ.ფოსტა: david.devadze@bsu.edu.ge ზაზა დავითაძე, ასოცირებული პროფესორი, ელ.ფოსტა: zaza.davidadze@bsu.edu.ge ვახტანგ ბერიძე, ასოცირებული პროფესორი, ელ.ფოსტა: v.beridze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	120 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<ul style="list-style-type: none"> ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: ინგლისური ენა - B2 დონე და სპეციალობა; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> ✓ მაგისტრს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა თანამედროვე კომპიუტერული მეცნიერების ძირითად მიმართულებებში კომპლექსური პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების შესამუშავებლად; ✓ კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს სხვადასხვა დარგობრივი სფეროს უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების დამოუკიდებლად კვლევის, მათემატიკური მოდელის აგების, პროგრამული რეალიზაციისა და მართვის უნარები კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით; ✓ პროგრამის ფარგლებში გამომუშავებული კომპეტენციებით კურსდამთავრებულმა შეძლოს სხვადასხვა სფეროსთვის კომპიუტერული სისტემების დანერგვა და მართვა, მონაცემთა დაცვა და უსაფრთხოება, ინოვაციური მიდგომებისათვის საფუძვლის შექმნა; ✓ კომპიუტერული მეცნიერების უახლესი მეთოდების გამოყენებით მაგისტრმა განახორციელოს კვლევა, მიღებული მონაცემების კრიტიკული ანალიზი, შეფასება, დასკვნების გაკეთება და შედეგების წარდგენა აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისთვის ეთიკის ნორმების დაცვით.
სწავლის შედეგები	<ul style="list-style-type: none"> ✓ აქვს კომპიუტერული სისტემებისა და გამოთვლითი გარემოს, პროგრამული უზრუნველყოფის, მედია აპლიკაციების დიზაინსა და განვითარებასთან დაკავშირებული ფუნდამენტური კონცეფციების ღრმა და სისტემური ცოდნა;

	<ul style="list-style-type: none"> ✓ ფლობს კომპიუტერული ტექნოლოგიებით კვლევის უახლეს მეთოდებს და აცნობიერებს მათი გამოყენების აუცილებლობას კომპიუტერული მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებაში ინოვაციური, ორიგინალური იდეების განვითარებისთვის; ✓ იცის თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით პრობლემის მათემატიკური მოდელის აგების, რეალიზაციის და მართვის ძირითადი პრინციპები; ✓ შეუძლია დარგის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევა მულტიდისციპლინურ, პრობლემურ გარემოში მიმდინარე კონკრეტული მოვლენების გასაანალიზებლად აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; ✓ აქვს სხვადასხვა დარგობრივ სფეროში არსებული პრობლემების გამოვლენის, მათემატიკური მოდელების აგების, მათი გადაჭრის ინოვაციური გზების მოძიების და კომპიუტერული მეცნიერების თანამედროვე მეთოდებით რეალიზაციის უნარი; ✓ შეძლებს რთული სტრუქტურის ან არასრული მონაცემების კრიტიკული ანალიზის, ინოვაციური სინთეზისა და შეფასების საფუძველზე შეიმუშაოს კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების განსხვავებული სტრატეგიები; ✓ შეძლებს წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები, როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებასთან ეთიკური ნორმების დაცვით და დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; ✓ იყენებს მიღებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ცვალებად, კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო და სამუშაო გარემოსთან ადაპტირებისა და მართვისთვის; ✓ შეაქვს საკუთარი წვლილი დარგის განვითარებასა და სრულყოფაში, მართვის ინოვაციური მიდგომების დანერგვით; ✓ იღებს პასუხისმგებლობას სხვების პროფესიულ საქმიანობასა და განვითარებაზე; ✓ აფასებს პროფესიული განვითარების საჭიროებებს და დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარ განათლებას.
--	--